

**"ენერგოეფექტურობის
ცენტრის"
ყოვალკვირული
საინფორმაციო
ბიულეტენი**

N 09, 2024

სარჩევი


ნავთობი და გაზი	2
საქართველომ ევროკავშირის სასარგებლოდ 1,1 მილიარდი კუბური მეტრი აზერბაიჯანული გაზის შესყიდვაზე თქვა უარი	2
„საქართველო სამხრეთის გაზის დერეფნის აქტიური მონაწილეა და მას უწყვეტ პოლიტიკურ მხარდაჭერას უწევს“	3
ელექტროენერგეტიკა	4
დავითაშვილი ჰესებზე - იმედი მაქვს, მსხვილ პროექტზე შეთანხმებები მიმდინარე წელს გვექნება - ყოველ თვე იმართება საუბარი მსოფლიოს წამყვან ენერგეტიკულ კომპანიებთან	4
ელექტროენერგიაზე შემცირებულ ტარიფებს დაახლოებით 3 წლით შევინარჩუნებთ - დავით ნარმანია	5
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა	6
კარგი იქნება, თუ ეკონომიკის სამინისტროში ენერგეტიკას კურატორი მოადგილე ეყოლება - მოსაზრება	6
ევროკომისიას შეუძლია Black Sea Energy-ის “ორმხრივი ინტერესის პროექტის” სტატუსი მიანიჭოს - აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრი	7
კლიმატის ცვლილება	8
ენერჯიასთან დაკავშირებულმა გლობალურმა CO2 ემისიებმა 2023 წელს რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია - IEA	8
ემისიების შემცირება G20-ის ქვეყნების პასუხისმგებლობაა, განაცხადა გაეროს გენერალურმა მდივანმა გუტერეშმა	8
ღონისძიებები	9

ნავთობი და გაზი

საქართველომ ევროკავშირის სასარგებლოდ 1,1 მილიარდი კუბური მეტრი აზერბაიჯანული გაზის შესყიდვაზე თქვა უარი

საქართველომ ევროკავშირის სასარგებლოდ 1.1 მილიარდი კუბური მეტრი აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის შესყიდვაზე თქვა უარი - ამის შესახებ სამხრეთის გაზის კორიდორის მრჩეველთა საბჭოს მინისტერიალზე აღინიშნა. ბაქოში მიმდინარე მინისტერიალში მონაწილეობას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი იღებს, ასევე აზერბაიჯანის პრეზიდენტი და ევროკომისარი ენერჯეტიკის საკითხებში კადრი სიმსონი.

2023 წლის განმავლობაში მილსადენ SCP-ის მეშვეობით, საქართველოს გავლით თურქეთს და ევროკავშირს საერთო ჯამში 21.4 მილიარდი კუბური მეტრი აზერბაიჯანული გაზი მიეწოდა, რაც 2022 წელთან შედარებით 1.6 მილიარდი კუბური მეტრით მეტი იყო. ამასთან, გასულ წელს საქართველომ 9%-ით, 313 მილიონ დოლარამდე შეამცირა აზერბაიჯანიდან გაზის შესყიდვა, რუსეთიდან კი 18%-ით, 110 მილიონ დოლარამდე გაზარდა.



ეკონომიკის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ლევან დავითაშვილმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საქართველო აქტიურად უწყობს ხელს აზერბაიჯანსა და ევროკავშირს შორის 2022 წლის 18 ივლისს გაფორმებული მემორანდუმით გათვალისწინებული შეთანხმებების მიღწევაში, რომელიც მიზნად ისახავს აზერბაიჯანის გაზის მიწოდებას ევროკავშირში სამხრეთ გაზის დერეფნის მეშვეობით წელიწადში მინიმუმ 20 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზრდას 2027 წლისთვის (2021 წლის 8,1 მილიარდიდან).

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ (სახელმწიფო შვილობილი ენერჯეტიკული ლიდერი) ხელშეკრულება გააფორმა SOCAR-თან გაზის ნაკადების დროებით გადამისამართებაზე, რომლითაც საქართველო უფლებამოსილია, შეიძინოს გაზი SCP პროექტის ხელშეკრულებებით.

შედეგად, ყოველწლიურად ხელმისაწვდომი გახდა დამატებითი გამტარუნარიანობა - დაახლოებით 1,1 მილიარდი კუბური მეტრი, რომელიც გამოიყენებოდა აზერბაიჯანის ბუნებრივი გაზის გაზრდილი ექსპორტისთვის ევროპის ქვეყნებში.

„საქართველომ დაამტკიცა, რომ არის საიმედო პარტნიორი, რომლის ქმედებაც მიმართულია სტრატეგიული პარტნიორობის და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისკენ. ჩვენ მხარს ვუჭერთ სამხრეთის გაზის დერეფნის ინიციატივის სრულმასშტაბიანი განვითარებისკენ მიმართულ პროექტებს, მათ შორის, ცენტრალური აზიის სახელმწიფოებიდან გაზის შესაძლო მიწოდებას, ასევე ტრანსკასპიური (ან ინტრაკასპიური) გაზსადენის პროექტის განხორციელებას. საქართველო მზად არის, გააგრძელოს აქტიური დიალოგი აზერბაიჯანთან, თურქეთთან, სამხრეთის გაზის დერეფნის სხვა მონაწილეებთან, ევროკავშირის წარმომადგენლებთან და დაინტერესებულ მხარეებთან აღნიშნული მიზნის მისაღწევად“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის დანიშნულებათ, საქართველოს გავლით, შაჰ-დენიზისა და კასპიის ზღვის აუზის სხვა საზღვრებიდან მოპოვებული ბუნებრივი გაზის თურქეთში ტრანზიტი, ხოლო შემდეგ, თურქეთიდან ევროპის ბაზრებზე გაზის ტრანსპორტირების განხორციელება. უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე გაზსადენის 249 კმ გადის.

საქართველო რუსულ ბუნებრივ აირს ჩრდილოეთი-სამხრეთის მაგისტრალური მილსადენის (NSGP) მეშვეობით იღებს. ამ გაზსადენის საშუალებით რუსული Gazprom-ი სომხეთს ბუნებრივ აირს აწვდის. 2022 წელს ამ მილსადენის დატვირთვა 2.3 მილიარდი კუბური მეტრი იყო.

რაც შეეხება სამხრეთ კავკასიურ გაზსადენს (SCP), მისი და ტრანს-ანატოლიური შემდგომ კი ტრანს ადრეატიკული მილსადენების სისტემების გავლით აზერბაიჯანი თურქეთსა და ევროკავშირს აწვდის ბუნებრივ აირს. 2023 წელს ამ გაზსადენის დატვირთვა 21.4 მილიარდი კუბური მეტრი იყო. ამ მილსადენიდან საქართველოს მიერ ბუნებრივი აირის მიღების საკითხს შაჰ-დენიზის კონსორციუმთან გაფორმებული მრავალწლიანი ხელშეკრულება არეგულირებს.

წყარო: BM.GE - <https://cutt.ly/vwMA9w0Q>

„საქართველო სამხრეთის გაზის დერეფნის აქტიური მონაწილეა და მას უწყვეტ პოლიტიკურ მხარდაჭერას უწევს“

საქართველო სამხრეთის გაზის დერეფნის განვითარების პროექტის დაწყებისთანავე მისი აქტიური მონაწილეა და უწყვეტ პოლიტიკურ მხარდაჭერას უწევს მას - ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა სამხრეთის გაზის კორიდორის მრჩეველთა საბჭოს მე-10 მინისტერიალზე განაცხადა.

ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, მინისტერიალი აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში მიმდინარეობს. ღონისძიება აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის გამოსვლით გაიხსნა, მონაწილეებს კი, მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ალბანეთის პრემიერ-მინისტრმა ედი რამამ და ევროკომისარმა ენერგეტიკის საკითხებში კადრი სიმსონმა.

ლევან დავითაშვილი სიტყვით გამოვიდა ღონისძიების ფარგლებში მიმდინარე მონაწილე ქვეყნების მინისტრთა სესიაზე. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საქართველო აქტიურად უწყობს ხელს აზერბაიჯანსა და

ევროკავშირის შორის 2022 წლის 18 ივლისს გაფორმებული მემორანდუმით გათვალისწინებული შეთანხმებების მიღწევაში, რომელიც მიზნად ისახავს აზერბაიჯანის გაზის მიწოდებას ევროკავშირში სამხრეთ გაზის დერეფნის მეშვეობით წელიწადში მინიმუმ 20 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზრდას 2027 წლისთვის (2021 წლის 8,1 მილიარდიდან).

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ (სახელმწიფო შვილობილი ენერჯეტიკული ლიდერი) ხელშეკრულება გააფორმა SOCAR-თან გაზის ნაკადების დროებით გადამისამართებაზე, რომლითაც საქართველო უფლებამოსილია, შეიძინოს გაზი SCP პროექტის ხელშეკრულებებით. შედეგად, ყოველწლიურად ხელმისაწვდომი გახდა დამატებითი გამტარუნარიანობა - დაახლოებით 1,1 მილიარდი კუბური მეტრი, რომელიც გამოიყენებოდა აზერბაიჯანის ბუნებრივი გაზის გაზრდილი ექსპორტისთვის ევროპის ქვეყნებში.

„საქართველომ დაამტკიცა, რომ არის საიმედო პარტნიორი, რომლის ქმედებაც მიმართულია სტრატეგიული პარტნიორობის და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისკენ. ჩვენ მხარს ვუჭერთ სამხრეთის გაზის დერეფნის ინიციატივის სრულმასშტაბიანი განვითარებისკენ მიმართულ პროექტებს, მათ შორის, ცენტრალური აზიის სახელმწიფოებიდან გაზის შესაძლო მიწოდებას, ასევე ტრანსკასპიური (ან ინტრაკასპიური) გაზსადენის პროექტის განხორციელებას. საქართველო მზად არის, გააგრძელოს აქტიური დიალოგი აზერბაიჯანთან, თურქეთთან, სამხრეთის გაზის დერეფნის სხვა მონაწილეებთან, ევროკავშირის წარმომადგენლებთან და დაინტერესებულ მხარეებთან აღნიშნული მიზნის მისაღწევად“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

სამხრეთის გაზის კორიდორის მრჩეველთა საბჭოს მე-10 მინისტრიალში საქართველოს დელეგაციის შემადგენლობით ასევე მონაწილეობენ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის გენერალური დირექტორი გიორგი ჩიქოვანი, ეკონომიკის სამინისტროს ენერჯეტიკული პოლიტიკისა და საინვესტიციო პროექტების დეპარტამენტის უფროსი ჯუბო ტურაშვილი და საქართველოს ელჩი აზერბაიჯანში ზურაბ პატარაძე.

წყარო: [energynews.ge - https://cutt.ly/4wMA9pYW](https://cutt.ly/4wMA9pYW)

ელექტროენერჯეტიკა

დავითაშვილი ჰესებზე - იმედი მაქვს, მსხვილ პროექტზე შეთანხმებები მიმდინარე წელს გვექნება - ყოველ თვე იმართება საუბარი მსოფლიოს წამყვან ენერჯეტიკულ კომპანიებთან

რეგულარულად, ყოველ თვე იმართება მსოფლიოს წამყვან ენერჯეტიკულ კომპანიებთან მსხვილ პროექტებზე საუბარი. როდესაც ჩვენ დავახლოებით პოზიციებს, უკვე შეიძლება შეთანხმებაზე ვისაუბროთ. იმედი მაქვს, რომ მსხვილ პროექტზე შეთანხმებები მიმდინარე წელს გვექნება, რომ განხორციელების უფრო აქტიურ ეტაპზე გადავიდეთ, - ამის შესახებ საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მისივე თქმით, „ნენსკრას“ პროექტის განახლება გასულ წელს დაიწყო, ამ ეტაპზე მიდის კვლევები, რომელსაც უწყება და პოტენციური ინვესტორი ახორციელებს.

„რაც შეეხება მსხვილ ენერგეტიკულ პროექტებს, იცით, რომ მუშაობა მიდის რამდენიმე მიმართულებით. ჩვენ გვქონდა გარკვეული შეთანხმება „ნენსკრასთან“ დაკავშირებით, რომელიც მოიცავს გარკვეულ ვალდებულებას ორივე მხარისას იმისთვის, რომ უკვე კონკრეტული კონტრაქტი დაიდოს, პროექტის განახლება გასულ წელს დაიწყო, ამ ეტაპზე მიდის კვლევები, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ და ასევე, პოტენციური ინვესტორი. ამ კვლევების დასრულების შემდეგ კონკრეტულ ეტაპზე გადავალთ, კვლევები, რომელიც მათ შორის, გარემოს დაცვის, სოციალური და ბევრი სხვა, იმისთვის, რომ ჩვენ კონკრეტულ რიცხვებზე გავიდეთ და კონკრეტულად დაფინანსების საკითხები გადაწყდეს დონორებთან. ეს დონორებისთვის არის მნიშვნელოვანი და საჭირო. „ქეი ვოთერი“ იმუშავებს დონორებთან, დონორების მოთხოვნები, რომ შესრულდეს.

რაც შეეხება „ნამახვანთან“ და „ხუდონთან“ დაკავშირებით, „ხუდონთან“ დაკავშირებით თქვენ იცით, რომ ჩვენ ჩავატარეთ კვლევები, ამაზეც საუბარი იყო, ალტერნატივები განვიხილეთ, იქ არის 12 სხვადასხვა სცენარი, რომელიც სხვადასხვა ტიპის ზემოქმედებას მოიცავს, როგორც სოციალურ, ისე კულტურულ ლანდშაფტზე, მათ შორის, ბუნებრივ ლანდშაფტზე. ენერგეტიკული მიმართულებით, რომელს ექნება უფრო მეტი უპირატესობა და ნაკლები იქნება ზემოქმედება, როგორც გარემოზე, ისე სოციალური კუთხით, ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებას. აქ ფაქტობრივად, სწორი ბალანსია მოსამებნი ენერგეტიკასა და ზემოქმედებას შორის და ეს არის მთავარი მოტივაცია, ანუ გამოკვეთილია რამდენიმე ალტერნატივა, რომლის დამუშავება ხდება, ალბათ, ჩვენ დავიწყებთ აქტიური განვითარების ეტაპზე გადასვლას მიმდინარე წელს.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი და მონაწილეობა, ამიტომ ენერგეტიკის განვითარების ფონდი იქნება ძირითადი, წამყვანი ძალა ყველა პროექტში, თუმცა არ იქნება მთავარი ინვესტორი ან ინვესტორები შეიძლება პროექტში შემოვიყვანოთ. აქაც რამდენიმე მნიშვნელოვანი, დაინტერესებული საერთაშორისო წამყვანი ენერგეტიკული კომპანიაა, რომელთანაც დიალოგი გვაქვს და ეს პროცესი მიმდინარეობს ინტენსიურად სამინისტროში. შეიძლება წარმოიდგინოთ, რომ რეგულარულად ყოველ თვე იმართება მსოფლიოს წამყვან ენერგეტიკულ კომპანიებთან, ამ მსხვილ პროექტებზე საუბარი. როდესაც ჩვენ დავახლოებით პოზიციებს უკვე შეიძლება შეთანხმებაზე ვისაუბროთ. მე იმედი მაქვს, რომ ამ მსხვილ პროექტზე შეთანხმებები მიმდინარე წელს გვექნება, რომ გადავიდეთ განხორციელების უფრო აქტიურ ეტაპზე.

რაც შეეხება ფოთის პორტის გაფართოებას, აქაც ჩვენ ვმუშაობთ ჩვენს პარტნიორებთან, ბევრი დეტალი გავიარეთ, არის საკითხების დიდი ნაწილი, რომელიც შეთანხმდა, არის გარკვეული საკითხები, რომელიც უნდა შეთანხმდეს იმისთვის, რომ საბოლოოდ ესეც გადავიდეს განხორციელების ეტაპზე“, - განაცხადა დავითაშვილმა.

წყარო: bfm.ge - <https://cutt.ly/dwMA9lf6>

ელექტროენერჯიაზე შემცირებულ ტარიფებს დაახლოებით 3 წლით

შევინარჩუნებთ - დავით ნარმანია

რა პროექტებზე მუშაობს სემეკი და როგორია დავით ნარმანიას სამომავლო გეგმები. დეტალებზე სემეკის თავმჯდომარემ გიორგი აბაშიშვილის „სხვა ინტერვიუში“ ისაუბრა.

- როგორც ცნობილია 2026 წელს საქართველოში ენერგეტიკული ფორუმი ჩატარდება, რომელსაც სემეკი უმასპინძლებს. ასეთი მაღალი დონის შეხვედრა ენერგეტიკის კუთხით

ქვეყანაში არ მახსენდება... ამიტომ მაინტერესებს, რა დატვირთვა აქვს აღნიშნულ ფორუმს როგორც სემეკისთვის, ასევე საქართველოსთვის? და ზოგადად, რას ველით ამ ფორუმიდან და რა იქნება მთავარი თემები საქართველოსთვის?

- სემეკისთვის და ზოგადად ჩვენი ქვეყნისთვის აღნიშნული ღონისძიება არის ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენ 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ვემზადებოდით იმისათვის, რომ ეს სტატუსი მიგვეღო და ამ ღონისძიების ჩატარების უფლებამოსილება მოგვეპოვებინა. ეს არის მსოფლიოს ენერგეტიკის მარეგულირებელთა ფორუმი, რომელიც 3 წელიწადში ერთხელ ტარდება და იკრიბება პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყანა, სადაც კი ენერგეტიკა რეგულირდება. შესაბამისად, ასეთი დონის ღონისძიებაში 150-ზე მეტი ქვეყანა და 1000-ზე მეტი დელეგატი იღებს მონაწილეობას, ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანიზაციები, ასევე მსხვილი ენერგეტიკული საინვესტიციო ჯგუფები. ამდენად ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. ჩვენი ქვეყნის როგორც ენერგეტიკული ჰაბის, მწვანე ენერჯის მწარმოებლის პოპულარიზაციისთვის, მეორეს მხრივ ინვესტიციების მოსაზიდად, რაც ენერგეტიკაში ძალიან მნიშვნელოვანია. ასეთი ფორუმის ჩატარებას ანდობენ ქვეყანას, სადაც ენერგეტიკა განვითარებულია და სადაც მარეგულირებელი კომისია როგორც წესი დგას მოწოდების სიმაღლეზე.

როგორ მიიღება გადაწყვეტილება და როგორ მოგვენიჭა ჩვენ ეს სტატუსი: როგორც ვთქვი 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა ამ საკითხზე, გადაწყვეტილება მიიღება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონული მარეგულირებელი გაერთიანებების ერთობლივი გადაწყვეტილებით კონფედერაციაზე და შესაბამისად ბოლო ფორუმი, როცა გაიმართა პერუში, სწორედ იქ იყო მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილება. ფორუმი საქართველოში 2026 წელს ჩატარდება თუმცა კონკრეტული თარიღი მოგვიანებით გახდება ცნობილი და ჩვენც დავიწყებთ მოსამზადებელ სამუშაოებს: თავისი დღის წესრიგით, თავისი პროტოკოლური საკითხებით და ასე შემდეგ.

მნიშვნელოვანი სამი მიმართულება იქნება, პირველი ეს იქნება განახლებადი ენერჯია და ენერჯის ალტერნატიული წყაროები, რომელზედაც სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლების მხრიდან პრეზენტაციები გაკეთდება...

წყარო: [businessinsider.ge - https://cutt.ly/6wMA9O7d](https://cutt.ly/6wMA9O7d)

განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

კარგი იქნება, თუ ეკონომიკის სამინისტროში ენერგეტიკას კურატორი

მოადგილე ეყოლება - მოსაზრება

საქართველოს განახლებადი ენერჯიების განვითარების ასოციაციის (GREDA) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და კომპანია Energy Solutions-ს მმართველი პარტნიორის გიორგი აბრამიშვილის აზრით, კარგი იქნება, თუ ეკონომიკის სამინისტროში ენერგეტიკის მიმართულებას კურატორი მოადგილე ეყოლება.

ამის შესახებ მან BMGTV-ის გადაცემა „წერტილში“ ენერგეტიკის კურატორი მოადგილის რომეო მიქაუტაძის მიერ თანამდებობიდან წასვლის კომენტარებისას განუცხადა.

- ეკონომიკის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა კი თქვა, რომ ენერგეტიკის სექტორს კურატორობას პირადად გავუწევო, მაგრამ რამდენად რეალურია ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სამინისტროს ხელმძღვანელმა საკმარისი დრო გამონახოს დარგისთვის, როცა ენერგეტიკის სფეროს წარმომადგენლები აქამდეც აცხადებდნენ, რომ რომეო მიქაუტაძის კურატორობით, 10-12-კაციანი გუნდი აქტიურად მუშაობდა სამინისტროში, მაგრამ მაინც არ იყო საკმარისი?

- დიახ, რომეო მიქაუტაძის მუშაობით სექტორი ნამდვილად კმაყოფილი ვიყავით. მისი კურატორობის დროს ბევრი რაღაც დაიძრა წინ - ერთ-ერთი მთავარი სწორედ CFD მექანიზმის დანერგვა იყო. ვფიქრობთ, სამომავლოდ კარგი იქნება თუ ენერგეტიკის მიმართულებას ეკონომიკის სამინისტროში ცალკე კურატორი მოადგილე ისევ ეყოლება. მინისტრი ლევან დავითაშვილი ყოველთვის ჩართული იყო ენერგეტიკის თემებში და არ მგონია, გაუჭირდეს... რაც შეეხება მინისტრს რამდენად ეყოფა დრო, ამაზე კომენტარს მე ვერ გავაკეთებ, მაგრამ ის ყოველთვის დროულად და ლოგიკურად პასუხობს გამოწვევებს, რომელიც სექტორშია.

- ენერგეტიკის სამინისტროს აღდგენის საჭიროებაზე ბოლო პერიოდში ხშირად საუბრობდნენ ენერგეტიკის სფეროს წარმომადგენლები. თქვენ რომელ კატეგორიაში ხართ?

- სამინისტროს არსებობა ფორმალური ნაწილი მგონია. რაც შეეხება თანამშრომლების რაოდენობას, დიახ, მეც ვფიქრობ, რომ უნდა გაიზარდოს იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც ჩართულები იქნებიან ენერგეტიკის განვითარებაში; საერთოდ არ ხდება კვლევები, საით მივდივართ, რას როგორ ვგეგმავთ ენერგეტიკაში, სულ მიმდინარე ცეცხლის ჩაქრობის პროცესში ვართ.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/HwMA9NrF>

ევროკომისიას შეუძლია Black Sea Energy-ის “ორმხრივი ინტერესის პროექტის” სტატუსი მიანიჭოს - აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრი

ევროკომისიას შეუძლია აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთი-უნგრეთის მწვანე ენერჯის დერეფანს “ორმხრივი ინტერესის პროექტის” სტატუსი მიანიჭოს. ამის შესახებ აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრმა ფარვიზ შახბაზოვმა სოციალურ ქსელ X-ზე დაწერა.

„ენერგეტიკის საკითხებში ევროკომისიას კადრი სიმსონთან შეხვედრაზე ჩვენ შავი ზღვის მწვანე ენერჯის პროექტისთვის „ორმხრივი ინტერესის პროექტის“ სტატუსის მინიჭების დაჩქარებაზე შევთანხმდით“, - ნათქვამია პუბლიკაციაში.

მან ასევე დაწერა, რომ შეხვედრაზე ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, ბუნებრივ აირთან, წყალბადთან და „მწვანე ენერჯისთან“ დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

შეგახსენებთ, რომ 2022 წლის 17 დეკემბერს საქართველომ, აზერბაიჯანმა, რუმინეთმა და უნგრეთმა ბუქარესტში ხელი მოაწერეს შეთანხმებას შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტის განხორციელების შესახებ, რომლის სიმძლავრე 1000 მგვტ, სიგრძე კი 1 195 კილომეტრი იქნება. 2023 წელს პროექტს ბულგარეთიც შეუერთდა. თავის მხრივ პროექტთან მიერთების სურვილი სერბეთმაც გამოთქვა. ელექტროკაბელი

აზერბაიჯანში წარმოებულ მწვანე ელექტროენერჯის საქართველოს და შავი ზღვის გავლით რუმინეთს, უნგრეთსა და ევროპის დანარჩენი ნაწილისთვის შემდგომი ტრანსპორტირებისთვის მიაწვდის. მისი მოწყობის სამუშაოები 3-4 წელზეა გაწერილი. ევროკომისია ამ პროექტის განხორციელებისთვის 2.3 მილიარდი ევროს გამოყოფას აპირებს.

კაბელის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევა საქართველოს ინიციატივით ჯერ კიდევ 2022 წლის მაისში დაიწყო და ის 18 თვის ვადაში უნდა დასრულებულიყო, თუმცა ის 2024 წლის ივლისამდე არ დასრულდება.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/xwMA94Hn>

კლიმატის ცვლილება

ენერჯისთან დაკავშირებულმა გლობალურმა CO2 ემისიებმა 2023 წელს რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია - IEA

ენერჯისთან დაკავშირებული ნახშირორჟანგის (CO2) გლობალურმა ემისიებმა შარშან რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია, რაც ნაწილობრივ გამოწვეული იყო წიაღისეული საწვავის მოხმარებით იმ ქვეყნებში, სადაც გვალვები აფერხებდა ჰიდროენერჯის წარმოებას, განაცხადა ენერჯექტივის საერთაშორისო სააგენტომ (IEA).

მეცნიერთა განცხადებით, ტემპერატურის გლობალური ზრდის შეზღუდვისა და კლიმატური ცვლილებების თავიდან აცილების მიზნების მიღწევისთვის. უახლოეს წლებში საჭირო იქნება CO2-ის ემისიების მკვეთრი შემცირება, ძირითადად, წიაღისეული საწვავის შემცირების ხარჯზე.

"CO2-ის ემისიები არათუ არ მცირდება სწრაფად - როგორც ეს საჭიროა პარიზის შეთანხმებით განსაზღვრული კლიმატის გლობალური მიზნების მისაღწევად - არამედ ემისიებმა მიაღწია ახალ რეკორდულ მაჩვენებელს," - ნათქვამია IEA-ს ანგარიშში. ენერჯექტივიდან გლობალური ემისია 2023 წელს გაიზარდა 410 მილიონი ტონით, ანუ 1,1%-ით, 37,4 მილიარდ ტონამდე, აჩვენა IEA-ს ანალიზმა.

სუფთა ტექნოლოგიების გლობალურმა გავრცელებამ, როგორცაა ქარის, მზის და ელექტრო სატრანსპორტო საშუალებები, ხელი შეუწყო ემისიების ზრდის შეკავებას, რამაც 2022 წელს 1.3% შეადგინა. მაგრამ ჩინეთის ეკონომიკის განახლებამ გაზარდა წიაღისეული საწვავის გამოყენება ჰიდროენერჯის დაბალი გამომუშავების მქონე ქვეყნებში და ავიაციის აღდგენა, რამაც გამოიწვია საერთო ზრდა, ნათქვამია IEA-ს ანგარიშში.

წყარო: eceee.org - <https://cutt.ly/0wMA3iSS>

ემისიების შემცირება G20-ის ქვეყნების პასუხისმგებლობაა, განაცხადა გაეროს გენერალურმა მდივანმა გუტიერეშმა

გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტიერეშმა განაცხადა, რომ ემისიების შემცირება "არსებითად" არის G20 ქვეყნების, ყველაზე დიდი დამაბინძურებლების ვალდებულება, და მოუწოდა უფრო ძლიერი სამიზნე მაჩვენებლებისკენ და უფრო

სამართლიანი დაფინანსებისკენ იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც განიცდიან კლიმატის ცვლილებას.

გუტიერეშმა, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების თანამეგობრობის სამიტზე (CELAC) სენტ-ვინსენტსა და გრენადინებში გამოსვლის წინ, თქვა, რომ საჭიროა „მეტი კლიმატის სამართლიანობა“, მათ შორის გონივრული დაფინანსების ხარჯები განვითარებადი ქვეყნებისთვის კლიმატის ცვლილებისგან თავის დასაცავად.

„აბსოლუტურად მნიშვნელოვანია, რომ იყოს არა მხოლოდ გაცილებით დიდი ამბიციები ემისიების შემცირებასთან დაკავშირებით, და ეს არსებითად არის G20 ქვეყნების პასუხისმგებლობა, რომლებზეც მოდის ემისიების 80%“, - თქვა გუტიერეშმა. მან დასძინა, რომ მეტი კლიმატური სამართლიანობა გულისხმობს "მეტ დაფინანსებას ხელმისაწვდომი გონივრული ხარჯებით ადაპტაციისა და შერბილებისთვის განვითარებადი ქვეყნებისთვის და განსაკუთრებით პატარა კუნძულოვანი განვითარებადი სახელმწიფოებისთვის." კარიბის ზღვის ქვეყნები დიდი ხანია ითხოვენ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, მაგალითად "ზარალისა და ზიანის" ფონდის შექმნას, რომელშიც უფრო მდიდარი ქვეყნების მიერ შეტანილი თანხები იქნება დაუცველი ქვეყნებისთვის, რათა მიიღონ სახსრები კლიმატური კატასტროფების შედეგად მიყენებული ზიანისთვის.

წყარო: eceee.org - <https://cutt.ly/cwMA3gNP>

ღონისძიებები

კონფერენცია - [მდგრადი ენერგეტიკის მსოფლიო დღეები 2024](#)

თარიღი: 05–08 მარტი, 2024

ორგანიზატორი: OÖ Energiesparverband

ადგილი: Stadthalle, ველსი, ავსტრია

თემატიკა: ენერგეტიკული გადასვლა, კლიმატ-ნეიტრალობა, ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერჯია, ბიოენერჯია, ენერგეტიკული პოლიტიკა

[წიადაგის მომზადებამწვანე ეკონომიკისთვის: გაკვეთილები აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობისგან](#)

თარიღი: 13-14 მარტი, 2024

ადგილი: ჰიბრიდულ ფორმატში, ბრიუსელი, ბელგია

[GlobalMethaneForum 2024](#)- მეთანის მსოფლიო ფორუმი

თარიღი: 18-21 მარტი, 2024

ადგილი: ჟენევა, შვეიცარია

კონფერენცია - [CO2-ის ჩაჭერა, შენახვა და ხელახალი გამოყენება 2024](#)

თარიღი: 15–16 მაისი, 2024

ორგანიზატორი: FORTES MediaGroup

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

[ფოტოელექტრული კვლევის იტალიური ქსელის კონფერენცია -](#)

ConferenzaReteItalianaRicercaFotovoltaico 2024

თარიღი: 11- 12 ივნისი, 2024

ადგილი: ბოლცანო, იტალია

[მე-12 საერთაშორისო კონფერენცია - საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების და განათების ენერგოეფექტურობა \(EEDAL'24\)](#)

თარიღი: 25–27 ივნისი, 2024

ორგანიზატორი: JYURI Jyukankyo Research Institute Inc.

ადგილი: ქალაქი კიტაკიუშუ, იაპონია

